

GCF GEFF რეგიონალური - განვრცობა

მდებარეობა:	რეგიონალური
პროექტის ნომერი:	51247
ბიზნეს სექტორი:	საფინანსო ინსტიტუტები
შეტყობინების ტიპი:	კონფიდენციალური
გარემოს დაცვის კატეგორია:	FI
საბჭოზე გატანის თარიღი:	24 ივლისი, 2019
სტატუსი:	კონცეფცია განხილულია
პროექტის მოკლე ანოტაციის გამოქვეყნების თარიღი:	20 ივლისი, 2019

პროექტის აღწერა

400 მილიონ დოლარამდე გამოიყოფა GCF-GEFF რეგიონალური ჩარჩოს განვრცობის მიზნით (პროექტის ნომერი 50223). განვრცობა გულისხმობს დამატებით 300 მილიონი დოლარის გამოყოფას ბანკის ჩვეულებრივი რესურსებიდან და 100 მილიონ დოლარამდე თანხის გამოყოფას მწვანე კლიმატის ფონდიდან, რომელიც გაიცემა ბანკის მწვანე ეკონომიკის დაფინანსების საშუალებით სომხეთში, ეგვიპტეში, საქართველოში, იორდანიაში, მოლდოვაში, მონღოლეთში, მაროკოში, სერბეთში, ტაჯიკისტანსა და ტუნისში. განხორციელდება კვალიფიციური საფინანსო ინსტიტუტების დაფინანსება შესაბამის ქვეყნებში, რომლებიც შემდგომ გასცემენ ქვე-სესხებს კერძო სექტორზე (ბიზნესები, ინდივიდები, საბინაო კოლექტივები, მოწინავე კლიმატის ტექნოლოგიებისა და სერვისის მომწოდებელი და გამყიდველი კომპანიები), კლიმატის ცვლილების შედეგების შერბილების და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ინვესტიციების განხორციელების მიზნით, რაც ხელს შეუწყობს მწვანე ეკონომიკაზე გადასვლას.

პროექტის მიზნები

განვრცობა ხელს შეუწყობს კლიმატის ცვლილების შემცირებისა და კლიმატის ცვლილების ადაპტირების დაფინანსებისათვის ახალი და/ან საგრძნობლად გაუმჯობესებული ბაზრების ჩამოყალიბებას. ეს პროცესი ხელს შეუწყობს ბანკის მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის მიდგომის მიზნების მიღწევას იმ პროექტებთან მუშაობის გზით, რომლებსაც სხვა შემთხვევაში, ბანკთან უშუალო შეხება არ ექნებოდათ. განვრცობა უზრუნველყოფს საგრძნობ გაუმჯობესებას 5000-ზე მეტი მზარდი და განმეორებადი კლიმატის ცვლილების შემცირების და კლიმატის ცვლილების ადაპტირების პროექტების დაფინანსებით ინდუსტრიულ, კომერციულ, საცხოვრებელ, სატრანსპორტო და სოფლის მეურნეობის სფეროებში. ის ხელს შეუწყობს ბაზრებთან დაკავშირებული არაერთი გამოწვევის დაძლევის ტექნოლოგიის მიწოდების პროცესში და განავითარებს პოტენციალს კერძო სექტორის ინვესტიციებისათვის.

შუალედური შედეგი

GCF-GEFF რეგიონალური ჩარჩოს საშუალებით, განვრცობის ფარგლებში გამოყოფილი თანხის მეორე ნაწილი ხელს შეუწყობს ეკოლოგიურად მდგრადი, დაბალი ნახშირბადის და ეკოლოგიურად გამძლე ეკონომიკაზე გადასვლას იმ ათ ქვეყანაში, რომლებშიც EBRD ინვესტიციებს ანხორციელებს, რაც ამ ქვეყნებს დაიცავს ნახშირბადის აქტიური გამოყოფის, ასევე, ეკოლოგიურად მოწყვლადი და/ან გარემოსათვის მავნე, დამაბინძურებელ გარემოში მოხვედრისაგან. ეს მოხდება საფინანსო შუამავლებისათვის დაფინანსებისა და ცოდნის უზრუნველყოფის გზით ეფექტური, კლიმატთან დაკავშირებული ტექნოლოგიებისა და გადაწყვეტილებების დაფინანსების მიზნით.

ინფორმაცია კლიენტის შესახებ

მსესხებლები არიან ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტები, როგორებიცაა ბანკები, მიკროსაფინანსო ინსტიტუტები, სალიზინგო კომპანიები და პროგრამული უზრუნველყოფის გამყიდველი კომპანიები, რომლებიც მუშაობენ შესაბამის ქვეყნებში.

EBRD-ის დაფინანსების ჯამი

300,000,000.00 დოლარი.

თანადაფინანსება გამოიყოფა მწვანე კლიმატის ფონდიდან - 100,000,000 დოლარამდე.

პროექტის მთლიანი ღირებულება

300,000,000.00 დოლარი

გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხები

მინიჭებული აქვს კატეგორია FI (ESP 2014). ყველა მონაწილე საფინანსო ინსტიტუტი (PFI) ჩარჩოს ფარგლებში ვალდებულია შეასრულოს EBRD-ის შესრულების მოთხოვნები 2,4 და 9 და მიიღოს და განახორციელოს EBRD-ის E&S რისკის მართვის პროცედურები საფინანსო ინსტიტუტებისათვის. შესაბამისი ქვე-პროექტები ვალდებული არიან იმოქმედონ გარემოს დაცვის, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების ეროვნული მოთხოვნების და E&S შრომის სტანდარტების და სოციალური შესაბამისობის კრიტერიუმების ფარგლებში, კლიმატის

ცვლილების შედეგების შემცირების და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის პროექტებისათვის. საფინანსო ინსტიტუტებთან ამას კიდევ ერთხელ დაადასტურებს კონსულტანტი, რომლის ჩართვასაც უზრუნველყოფს EBRD. ყველა საფინანსო ინსტიტუტი ვალდებულია ბანკს წარუდგინოს წლიური გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების ანგარიში FI მდგრადობის ინდექსის საშუალებით, მათ შორის, ქვე-პროექტების ანგარიშები და კლიმატის ცვლილების შედეგების შემცირების და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტირების უპირატესობების შესახებ.

ტექნიკური თანამშრომლობა

განვრცობა გულისხმობს დაახლოებით 21 მილიონ დოლარის ოდენობის ტექნიკური თანამშრომლობის პაკეტსაც - შესაძლებლობების განვითარების, მარკეტინგის, პროექტის შეფასებისა და ზოგადი მონიტორინგის და ანგარიშგების განხორციელებისათვის. ასევე განხორციელდება გენდერული კომპონენტი გენდერისათვის დამახასიათებელი მიწოდების უზრუნველყოფის და მოთხოვნასთან დაკავშირებით არსებული წინააღმდეგობების გადალახვის მიზნით, რაც დაკავშირებულია მწვანე სესხების პროდუქტის დიზაინსა და მარკეტინგთან.

ბიზნეს შესაძლებლობები

ბიზნეს შესაძლებლობებისა და შესყიდვების თაობაზე დაუკავშირდით კლიენტ კომპანიას.

სახელმწიფო სექტორის პროექტებზე ინფორმაციისათვის დაუკავშირდით EBRD-ის შესყიდვების დეპარტამენტს: +44 20 7338 6794;
procurement@ebrd.com

ზოგადი ინფორმაციის მიღების მიზნით

EBRD-ის პროექტების შესახებ ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკავშირებული შესყიდვებთან: ტელ: +44 20 7338 7168; ელექტრონული ფოსტა: projectenquiries@ebrd.com

საჯარო ინფორმაციის შესახებ პოლიტიკა (PIP)

PIP განსაზღვრავს, თუ როგორ უზრუნველყოფს EBRD ინფორმაციის გამჟღავნებას მონაწილე მხარეებისთვის, რათა ხელი შეუწყოს მისი სტრატეგიების, პოლიტიკისა და ოპერაციების შესახებ ცნობიერების ამაღლებას. თუ შეიძლება ეწვიეთ საჯარო ინფორმაციის შესახებ პოლიტიკის გვერდს, რომელიც ქვემოთაა მითითებული, რათა გაეცნოთ, თუ როგორ მოითხოვთ საჯარო სექტორის საბჭოს ანგარიში.

[PIP-ს ტექსტი](#)

პროექტების ფარგლებში საჩივრების წარდგენის მექანიზმი (PCM)

პროექტების საჩივრების წარდგენის მექანიზმი(PCM) არის EBRD-ის ანგარიშგების მექანიზმი. მოცემული მექანიზმი ითვალისწინებს კერძო პირებისა და ორგანიზაციების მიერ EBRD-ის დაფინანსებით განხორციელებული პროექტების შესახებ წარდგენილი საჩივრების დამოუკიდებელ განხილვას, რომლებმაც სავარაუდოდ, გამოიწვიეს, ან შეუძლიათ გამოიწვიონ გარემოსდაცვითი/ან სოციალური ზიანი.

იხილეთ [პროექტების საჩივრების წარდგენის მექანიზმის \(PCM\) გვერდი](#), რათა გაიგოთ, თუ როგორ წარადგინოთ საჩივარი. PCM-ის ოფიცერი (pcm@ebrd.com) ხელმისაწვდომია თქვენს ნებისმიერ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნას წარდგენილი საჩივარი, და რა კრიტერიუმები არსებობს მის რეგისტრაციასა და დასაშვებობასთან დაკავშირებით, [PCM-ის პროცედურული წესების შესაბამისად](#).